საქართველო

იჯარის ხელშეკრულება

ქ.თბილისი

06/04/2017 წელი

1. ორი ათას ჩვიდმეტი წლის 06 აპრილს მე, **შპს "რუსუდანი"-ს** (შემდგომში "მეიჯარე") ს/კ № 203864318 დირექტორმა სუსანა ვაჩნაძემ პირადი № 01012018146 იჯარით გადავეცი შპს "გემო+" (შემდგომში "მოიჯარე") ს/კ 405058404 დირექტორი *არმენ არაკელიანი* პასპორტი ტიპი – P, კოდი - ARM, ნომერი AP0563189, ტიპი – P, კოდი - ARM, ნომერი BA2627619

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით მეიჯარე იჯარის წესით გადასცემს მოიჯარეს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, კერძოდ: **ქალაქი თბილისი, გამზირი რუსთაველი, №40, არასაცხოვრებელი ფართი: 40,65 კვ.მ. მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 01.15.05.009.006.01.542, მესაკუთრე: შპს "რუსუდანი"** ს/კ № 203864318 **განცხადების რეგისტრაციის ნომერი № 882011088120 – 02/03/2011წ. მომზადების თარიღი: 10/03/2011წ.**

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 მეიჯარის უფლებები და მოვალეობები

2.1. მეიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული იჯარის საფასურის დროული გადახდა

2.2 მოიჯარის უფლებები და მოვალეობები

2.2. მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს ქირა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

2..3. მოიჯარე ვალდებულია გაუფრთხილდეს და მოუაროს ქონებას, დაიცვას მისი ექსპლუატაციის წესები.

2.4 მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დაქირავებული ფართი დაუბრუნოს მეიჯარეს.

2.5 მოიჯარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეიჯარეს მესამე პირებისაგან საქმიანობის ხელშეშლის აკრძალვა.

3. იჯარის საფასური

3.1 ყოველთვიური იჯარის ოდენობა შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს. რომლის გადახდა იწარმოებს ყოველი თვის 20 რიცხვამდე ნაღდი ანგარიშსწორებით.
3.2 ფართის სარგებლობასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა და ნებისმიერი სახის გადასახადს მხარეთა შეთანხმებით იხდის მეიჯარე.

4. ხელშეკრულებების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი
4.1. წინამდებარე ხელშეკრულების ვადა შეადგენს 24 /ოცდაოთხი/ თვეს, მისი მხარეთა შორის შეთანხმების შემთხვევაში გაგრძელების უფლებით.

5. მხარეთა პასუხიმგებლობა

5.1 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები

“მეიჯარე”
შპს “რუსუდანი”-ს ს/კ № 203864318 დირექტორი სუსანა ვაჩნაძე პირადი № 01012018146

“მოიჯარე”

შპს “გემო+” ს/კ 405058404 დირექტორი *არმენ არაკელიანი* პასპორტი ნომერი **AP0563189**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე, შპს „ რუსუსდანის “ ს/კ 203864318 დირექტორი სუსანა ვაჩნაძე პ/ნ 01012018146, თანახმა ვარ, რომ შპს „ გემო + “ - მა ს/კ 405058404, დაამონტაჟოს გარე რეკლამა და განათება რუსთაველის 40 ნიმერში.



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე, შპს „ რუსუსდანის “ ს/კ 203864318 დირექტორი სუსანა ვაჩნაძე პ/ნ 01012018146, თანახმა ვარ, რომ შპს „ გემო + “ - მა ს/კ 405058404, დაამონტაჟოს გარე რეკლამა და განათება რუსთაველის 40 ნიმერში.

